საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/30

10 თებერვალი, 2023 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ლინგვისტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნონა ნიქაბაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **ნონა ნიქაბაძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის № 01-08/467 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის №06-01/82 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (06.02.2023, ოქმი N22-20/3) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 23 0000142173, 08.02/23) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ლინგვისტიკის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ნონა ნიქაბაძის** სადისერტაციო ნაშრომის **„ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი“ საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 20 თებერვალს, 13:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ლინგვისტიკის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. მამია ფაღავა -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. ნათელა ფარტენაძე - ბსუ-ს ასოც. პროფესორი (**მდივანი**);

2.3. რამაზ ხალვაში-ბსუ-ს პროფესორი;

2.4. ნანა ცეცხლაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.5. მზია ხახუტაიშვილი- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.6. ლიანა ჭყონია- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.7. ასმათ არძენაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

2.8. ციალა ლაგვილავა-ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი;

2.9. ელზა ფუტკარაძე-ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი **ანზორ ბერიძე**
(რექტორის მოვალეობის შემსრულებელი)